№ 159 ივლისი 30, შაბათი 1888 ივლისი 30, შაბათი № 159

# ივერია

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, ხიდეველის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზე.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 სახოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888

## „ივერიის" რედაქცია

გადავიდა ახალს სადგომში: ფრეილინის ქუჩა, სახელმწიფო ბანკის გვერდზედ, ბასტამოვის სახლები, № 5, მესამე სართული.

ტფილისი, 29 ივლისი

ამ ჟამად უველა სცდილობს გამოიცნოს, თუ რა მიზეზია, რომ ეკონომიური ბრძოლა გერმანიასა და რუსეთს შუა არა სცხრება მას შემდეგაც-კი, რაც რუსეთის იმპერატორმა ინახულა გერმანიის იმპერატორი და ძმურად ხელი გაუწვდინა. როგორც იწერებიან, ძალიან საეჭვოა იმ წესების გაუქმება, რომელნიც აწარმოებენ გერმანიისა და რუსეთის ეკონომიურს ურთიერთობას. პირ-იქით, ის აზრი ტრიალებს, რომ ეს ეკონომიური ურთიერთობა ძველს გზას არ ასცილდებაო, საფიქრებელი არ არის ბისმარკმა გერმანიის ეკონომიური ინტერესები დასთმოს, ესე იგი უარ-ჰყოს თავისი პოლიტიკა, რომელიც დამყარებულია ეკონომიურს ბრძოლაზეო.

ბისმარკს ძალიან კარგადა აქვს შეგნებული, რომ ერთა შორის ეკონომიური ბრძოლა უველა ომზე უფრო ძლიერია, რომ ეკონომიურად დაჩაგრულის ერის პოლიტიკა უნდა დაემორჩილოს გამარჯვებულისას, რომელსაც სახსარი და საშუალება ექმნება თავისებურად დაატრიალოს პოლიტიკის ჩარხი.

აი, სად არის იმისი მიზეზი, რომ გერმანიის მმართებლობა სცდილობს ეკონომიურის ბრძოლით დააქვეითოს სხვა სახელმწიფონი, რომლებსაც უკვე შეგნებული აქვსთ, როგორც ბისმარკის ხერხი და ოსტატობა, აგრეთვე მთელის ევროპის პოლიტიკის ხასიათი და ბუნება. აქ არის იმისი მიზეზი, რომ სხვა სახელმწიფოებიც მედგრად ებრძვიან გერმანიას და, რამდენადაც ძალ-ღონე შესწევთ, ეწინააღმდეგებიან გერმანიის მმართებლობას...

გერმანია დიდს ხერხსა და ოსტატობას ხმარობს, რათა იტალია საფრანგეთს გადაჰკიდოს და ამ საშუალებით იმდენად დააქვეითოს საფრანგეთი, რომ იძულებულ ჰყოს გერმანიის პოლიტიკას დაემორჩილოს და ან, თუ ვინიცობაა საფრანგეთი წელში არ მოიხარა, იყოლიოს ძლიერი მომხრე რესპუბლიკის წინაღმდეგ. წინადაც არა სუფევდა კარგი განწყობილება საფრანგეთსა და იტალიას შორის და აქა-იქ თავს იჩენდა მათ შორის უკმაყოფილება და ქიშპობა. ამ ჟამად ამ უთანხმოების გასაღვივებლად გერმანიის ოფიციოზურმა მწერლობამ ხმა გაავრცელა, ვითომ საფრანგეთს განზრახვა აქვს ტრიპოლისი ხელში ჩაიგდოს, ის ტრიპოლისი, რომელზედაც თვალი უჭირავს იტალიასაც. მართალია თუ არა ეს ამბავი, დაბეჯითებით არავინ იცის, ხოლო ის-კი ნამდვილია, რომ ამ ამბის გამო იტალია მზად არის ხელი გამოიღოს. იქნება იტალიას არც-კი სჯერა გერმანიელის მწერლობის მითქმა-მოთქმა, მაგრამ ამ ამბავს მაინც ხელზე დაიხვევს, რათა გემრიელს ულუფას ხელი გაუწვდინოს. იტალიას სრულიად არ უნდა, ტრიპოლისი საფრანგეთმა ჩაიგდოს ხელში, რადგან თვითონაც სადღე ოლელი აშლილი აქვს. ერთის სიტყვით, იტალიას შეუძლიან თავი გამოიდვას და ტრიპოლისს ხელი წაავლოს, და თავი იმართლოს იმით, რომ არ მინდოდა საფრანგეთს დაესწრო ჩემთვისაო.

მართალია ეს ამბავი თუ არა, არას იწერებიან, ხოლო მეორეს მხრით საფრანგეთში გაუვრცელებიათ ხმა, ვითომ იტალიას სწადიან ხელში ჩაიგდოს ტრიპოლისი და ამისათვის ძლიერი ესკადრა ჰყავს დამზადებულიო. ამ ამბავმა საფრანგეთი ძალიან შეაწუხა, ალბად იმიტომ, რომ თვით საფრანგეთსაც თვალი უჭირავს ტრიპოლისზე. თუ ეს ამბავი მართალი გამოდგა, მაშინ უეჭველია, რომ საფრანგეთი ასე ადვილად არ დაუთმობს ტრიპოლისს სადღერძელ-აშლილს იტალიას.

ერთის სიტყვით, მართალია თუ არა ეს ამბები, ცხადია, რომ საფრანგეთსა და იტალიას შუა განწყობილება მეტად გამწვავებულია და ეს ხომ ძალიან ხელს უმართავს გერმანიას.

ამ რამდენისამე წლის განმავლობაში გერმანიასა და საფრანგეთს შუა რამდენიმე უსიამოვნება მოხდა თვით საზღვარზე. ზოგი საფრანგეთის ქვეშევრდომი შეურაცხჰყვეს გერმანიის მოხელეებმა და ერთი კიდეც მოჰკლეს. თავისს დროს ამ ამბებმა დიდი ლაპარაკი და უთანხმოება გამოიწვია. ამ უკანასკნელს ხანებში იმავე საზღვარზე ორი ამბავი მოხდარა. ამას წინად ერთ გერმანელის ქვეშევრდომისათვის შეურაცხყოფა მიუყენებიათ ფრანგებს. ეხლაც მომხდარა ამ გვარივე ამბავი. ფრანგები დახვედრიან ერთს გერმანელს, რომელიც საზღვარს გადასულიყო და ერთს საფრანგეთის სოფელში მიდიოდა. ეს კაცი გაულანძღავსთ და გაუთრევიათ ოთხიოდე ფრანკს. რასაკვირველია, ეგეთი საქციელი არავისაგან მოსაწონი არ არის, მეტადრე ფრანგებისაგან, მაგრამ გერმანელებს-კი ვგონებთ არა ეთქმოდათ-რა. ასე გასინჯეთ, თავად ბისმარკის გაზეთი ძალიან აუპილპილებია ვიღაც ფრანგების მოქმედებას. გაზეთი ამბობს, რომ ამ გვარი ამბავი შესაძლოა მოხდეს მხოლოდ განადირებულს ქვეყანაშიო. ჩვენი მოსაზღვრე სახელმწიფო ნადირთა ქვეყანა ყოფილა, სადაც მოგზაურობა მეტის-მეტად ძნელი და სახიფათოაო. გაზეთს ცოტაოდენი უფლება ექნებოდა ამის თქმისა, თუ რომ გერმანიის მმართებლობის საქციელს საფრანგეთის ქვეშევრდომთა მიმართ მოსაზღვრე ფრანგები არ მოემდურებინა. მაგრამ მას შემდეგ, რაც გერმანიას საფრანგეთის საზღვარზე საქმე ჩაუდენია, ბისმარკის გაზეთს არავითარი უფლება არა ჰქონდა რამდენისამე ფრანგის უზრდელობის გამო მთელი ქვეყანა ნადირად მყოფ ქვეყნად გამოეცხადებინა.

ი. ს—ი

## ახალი ამბავი

*** ჩვენ შევიტყვეთ, რომ ჩვენს ისტორიკოსსა და არხეოლოგს დიმიტრი ზაქარიას ძეს ბაქრაძეს შეუდგენია სრული საქართველოს ისტორია სამს ნაწილად და საქტემბრიდამ უკვე შეუდგება იმისს დაბეჭდვას.

*** ქალაქელები სჩივიან, რომ ქალაქში ერთი-ორი ბაღია და იქაც ბევრნაირი მოუხერხებლობააო. ალექსანდრეს ბაღი ათასის საქმეო ხალხით ივსება ხოლმე საღამ-საღამობით და რიგიანს კაცს არ გაევლება. ერევნის მეიდნის ბაღია კიდევ-და, სულ რამდენიმე სკამი სდგას, ხალხი-კი იმდენი გროვდება, რომ დასაჯდომს ალაგს ნახევარი ვერა შოულობს. ნუ თუ ქალაქისათვის გასაჭირია, რომ რამდენიმე სკამი მოუმატოს ამ ბაღსა?

*** კავკასიის ოლქის სამოსწავლო მზრუნველის განკარგულებით გადაყვანილი იქმნა ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორი, ბ-ნი მიტარჯვსკი, ზაქათალის სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორად, მხოლოდ ოზურგეთში მიტარევსკის ადგილზე დაინიშნა ბ-ნი ზეგზადოვი, რომელიც იყო ზედამხედველად ახალ-ბაიაზეთის ორ-კლასიანს სასწავლებელში. წინანდელი ზაქათალის სასწავლებლის ისპექტორი, ბ-ნი მარიახინი, დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან თავისს თხოვნისამებრ. აგრეთვე გადაიყვანეს მასწავლებლის ადგილზე ზაქათალის სამოქალაქო სასწავლებელში სიღნაღის სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებელი, ბ-ნი დავით გულისაშვილი.

*** უველა მებაღეებს აქვსთ აჩემებული რამდენისამე მეხილის დუქანი, რომელიც იმყოფება თათრის მოედანზედ და აგრეთვე შუაბაზარში, სადაც ყოველ-დღე დილა-ადრიანად მიადგება ხოლმე რამდენიმე საპალნე ხილეული, ბოსტნეულის მოსავალი და სხვა. მეხილეები საპალნობითვე ჰყიდიან სხვა წვრილ მოვაჭრეებზედ იმ ფასად, რა ფასადაც იმათ უნდათ. წვრილ მოვაჭრეებს არ შეუძლიანთ სხვაგან იყიდონ ზამთრის ხილი. შემდეგ ამისა ყოველ კვირის დამლევს მებაღე მოსთხოვს ხოლმე ანგარიშს იმ მეხილეს, რომელსაც უგზავნიდა ხილს. მეხილე ისეთს ანგარიშს აძლევს, როგორიც იმას ჰკუაში მოუვა. ხუთის თუმნის მაგივრად ორს თუმანს, ანუ უფრო

## ფელეტონი

### წერილი სამეგრელოდგან.

ეს დაუწყნარებელი ბრძოლა დაიწყო მას აქედ, რაც ფოთი-ტფილისის რკინის გზა გაიყვანეს... უმეტესს ნაწილს მკითხველებისას მოეხსენება, რომ ამ გზაზე რკინის გზის მმართველობამ განზრახ შეცდომით თუ სხვა მიზეზით გვერდი აუქცია რიონის ხეობაზე გაწკაპულს დაბა-ქალაქებს: რვა ვერსზე მიატოვა ქუთაისი, ოთხს ამოდენს მანძილზე—ხონი, სამს ვერსზე—სუჯუნა და ამდენზევე—ძველი სენაკი. ასეთმა გზის მიმართულებამ კინაღამ სული ამოართვა ქუთაისს, ვიდრე შტო არ შემოიყვანეს ქალაქში; ხონს მოაკლო ის, რასაც შესძენდა, რომ შიგ გაევლო, და ძველი სენაკი ხომ ყირაზე გადაიყვანა. ამათ ნაცვლად, ორპირის დაწიოკების შემდეგ, იმატა სამტრედიამ, გაიზარდა აბაშა, წამოყოყოჩდა ახალ-სენაკი, ძველს სახელი წაართვა და ახლა გაქალაქებას აპირებს. ფოთი ხომ სრულიად ფეხზე დააყენა.

აი, ამ ორ ჯგუფ დაბათა შორის ასტყდა ეკონომიური ბრძოლა, მეტად ძლიერი და საინტერესო, რადგანაც იმათი კეთილდღეობა დამოკიდებული იყო რკინის გზის მიმართულებაზე. გზას მგზავრი მიჰყვა, მგზავრს ვაჭრობა გაჰყვა, ვაჭრობას—ხალხი, მერე სკოლა, სასამართლოები, აფთიაქები და ამ დაწესებულებათა მოსამსახურენი. ამის გამო ძველებს მოაკლდათ ის, რაც ახლებს მიემატათ. ძველებსაცა და ახლებსაც თავიანთი ქომაგი და მოსარჩლე გაუჩნდათ და ამ გვარად იმ ადგილთა შორის, სადაც ხსენებული დაბებია, მუდმივი და დაუწყნარებელი ქიშპი გაიმართა. ჯერ არც ერთს მხარეს იმედი არ დაუწმენდია. ძველებს ჰგონიათ, რომ წარსულს დავიბრუნებთო, და ამტკიცებენ: გზას იქით გაიყვანებენ, საითაც მგზავრს ემარჯვება, საითაც უფრო ბევრი გაივლის, საიდგანაც უფრო ბევრს საქონელს გაზიდვენ რკინის გზის სადგურზეო; მეორენი ამტკიცებენ: გზა მგზავრს-კი არ მისდევს, მგზავრი მისდევს გზასაო და ყოველი საყვედური, საჩივარი და თხოვნა დაქვეითებულის სოფლებისა—ძველის სენაკისა, მარტვილისა და სუჯუნასი—სასაცილოდ აქვსთ აღებული. დღეს სიცილ-ნარევის პასუხითაც ადვილი მოსაშორებელია ხსენებული მოქიშპენი, მაგრამ იმ დროს, როცა აჯამეთში შამპანიის ღვინის შინ მხლებს ასხურებდნენ რკინის გზის ტუზებსა და რიონის სადგურთან მაშხალეები წინწიბურივით ზესკნელს მაღლა ადიოდა, ტუზთა შესაქცევად, აი, იმ დროს რომ ყურში ბამბა გამოეღოთ და თვალი გამოეხილათ ქუთაისისა, ხონისა და სხვა დაბათა წარმომადგენლებს, ახლა იმათ სიცილს ვერავინ გაუბედავდა და გზასაც ხალხისა, ქვეყნისა და გზის პატრონისათვისაც მეტად სასარგებლო მიმართულება ექმნებოდა.

ყველასათვის აშკარაა, რომ კარგი იქმნებოდა, რომ რკინის გზას პირდაპირ ქუთაისში გაევლო, ხონს მისულიყო, ხონიდამ მარტვილის ბრეკისათვის მიეპირდაპირებინა, აქედამ ნაქალაქევის მადნეულ წყლებისათვის ვერს ნახევარზე ჩაევლო, მერმე ძველს სენაკს, ახალსა და ფოთში „ფხეკა" მოედინა თერთმეტს საათზე. რომ ასე ყოფილიყო, ქუთაისი, რკინის გზის შტოს გაყვანამდე, იმდენს ზარალს არა ნახავდა და (შტოს გაყვანის შემდეგაც) ათი იმდენი სტუმარი ეყოლებოდა, რამდენიც ახლა ჰყავს, ხონი ერთი-ორად იმატებდა და გაკეთდებოდა: იმას მიაწყდებოდა მთელის ლეჩხუმისა და ცხენის-წყლის პირად მდებარე სამეგრელო-იმერეთის ნაწარმოები; ვინ დასთვლის, რამდენი მლოცველი და მნახველი მიუვიდოდა მარტვილის მონასტერს, აუარებელს მგზავრს მიიზიდავდა აბაშის ჩანჩქერი და ნაქალაქევის მადნეული წყლები ხომ ქვემო იმერეთის ესსენტუკი გახდებოდა; სენაკის მაზრის სიმინდი სრულიად ძველს სენაკს მიაწვებოდა და ამით ხომ დიდად მოგებული იქმნებოდა თვით რკინის გზის პატრონიც. მაგრამ ამას ხომ გამჭრიახობა ეჭირებოდა, გამოძიება მცხოვრებთა საჭიროებისა, ცოდნა ქვეყნისა და ყველაზე უფრო-კი გულწრფელობა და უანგარო, პირუთნეველი მოქმედება იმ კაცთა, ვისაც ხსენებულის გზის კეთება ხელთ ეპყრა.

ეგ არ მოხდა, არ მოხდა ზოგი ჩვენი დაბა-ქალაქთა წარმომადგენელთ დაუდევრობის გამო და ზოგიც რკინის გზის მმართველობის წარმომადგენელთ უსამართლობით და ანგარებით, და ამის გასწორება ძნელი საქმეა. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ამ დაუდევრობამ და შეცდომამ ისეთი კუდი მოიქნია, რომ ხსენებული დაბა-ქალაქები და სენაკისა და ზუგდიდის მაზრები, უბნები ერთი მეორეს გადაამტერა. რაც რომ ახალი დაწესებულებანი გამოტყვრება, სკოლაა, თუ კათედრა, თუ სასამართლო და სხვა რამე დაწესებულება, ერთს ალიაქოთსა და წეწვა-გლეჯას ასტეხს მთელს საზოგადოებაში და იმდენს მოწინააღმდეგეს გააჩენს, რამდენიც დაბაა, ანუ კრებული ვაჭართა და მწარმოებელთა; ასტყდება მითქმა-მოთქმა, პოროტი ენები ასანსალდებიან, დაიწყება ბეზღი, საჩივარი, „დანოსი",

ნაკლებს უჩვენებს ხოლმე, ასე უსინიდისოდ ექცევიან მებადეებს. რაკი წვრილი ვაჭრები ამათგან ძვირად ყიდულობენ, რა თქმა უნდა, იძულებულნი არიან ჩვენზედაც ძვირად ჰყიდონ. ამიტომ ჩვენ ყოველთვის ხილის სიძვირეზე ვსჩივით. თუ ვინიცობაა სულ ვერ გაასაღეს დიდ მოვაჭრე მეხილეებმა, მაშინ, როდესაც რომ ხილი დალპება, აჰკიდებენ სახედრებზედ და პატარა ბიჭებს გაატანენ ქუჩა-ქუჩა და ეს ბიჭები ძალიან იაფად ასაღებენ. ბევრჯელ პატარა ბავშვებსაც ატყუებენ და სხვა-და-სხვა ნივთებზე უცვლიან ხოლმე ხილს. ის ბავშვებიც დედ-მამის დაუკითხავად აპარებენ სახლიდგან ნივთებს და ასაღებენ ხილზე. ამ სახედარის მატარებელნი არავითარს ხარჯს არ იხდიან და, რა თქმა უნდა, ასეთი ვაჭრობა დიდს ხეირს აძლევსთ იმათ. ამიტომაც მედუქნეები, რომელნიც დიდს ხარჯს ეწევიან, ცოტა არ იყოს ზარალში შედიან. ჩვენის აზრით, ურიგო არ იქმნებოდა ამისთვის ყურადღება მიექციათ, ვისიც ჯერ არს, რადგანაც ეს ქუჩა-ქუჩა მოვაჭრენი დიდს ვნებას აძლევენ მცხოვრებლებს დამპალის ხილითა და ბავშვებსაც ძალიან რყვნიან. აგრეთვე ურიგო არ იქნებოდა სადმე ადგილი აღმოეჩინათ მებადეებისათვის და პირდაპირ თვითონა ჰყიდონ ხილეული წვრილს მოვაჭრეებზედ და სხვა მუშტრებზე.

*** **დ. ცხინვალი:** თხუთმეტს ამ თვისას დიდის ამბით ვაპირობდით ცხინვალელები რუსეთის ნათელ-ღების ცხრაასის წლის დღესასწაულის გადახდას და წინა დღეს იორდანე გავმართეთ ლიახვის ნაპირას, ტოტზედ. მშვენიერი დღეც იყო, ასე რომ ღრუბელიც არ დაგვინახავს. საღამო ხანზედ ბინდისას უცებ მოვარდა ლიახვი, მოგვტაცა იორდანე და სალიანს უპირებდა გამგზავრებას, რომ მარჯვეთ არ მოვქცეულიყავით და არ მოგვესწრო წართმევა გაგიჟებულის ლიახვისათვის. 15 ამ თთვისას დილით დაიწყო კოკი-პირულად ავდარი და გადადარება აღარ იქმნა. მაინც არ დავიშალეთ, მოვიყარეთ თავი, ჩავედით ლიახვზედ და გარდავიხადეთ ჩვენი წესი.

*** **იქიდამვე:** აქეთკენ რაღაც ავადმყოფობა მძვინვარებს. ყმაწვილებს მუცლის ავადმყოფობა აქვსთ და სისხლზედ გადიან. კარგა დიდხანსაც გასტანს ხოლმე ეს ავადმყოფობა და ზეზეურად ახმობს ბავშვებს. მართალია, მკურნალი და ფერშლებიცა გვყვანან, მაგრამ უექიმოდ ფერშლები არას მოქმედებენ. ეტყობა აღკრძალული უნდა ჰქონდეთ ექიმისაგან, თორემ რატომ არ უნდა იღებდნენ ავადმყოფებს, მაშინ, როდესაც ექიმი თვითონ არ იმყოფება და ან უქეიფობს.

*** **ქარელიდამ გვწერენ:** ჩვენსკენ ორი ბორანია მტკვარზე, მაგრამ ორივე ერთად არა ღირს, ისეთს მოუხერხებელს ალაგას არის გამართულიო. ერთი სულ მიუვალ ალაგას არის გაკეთებული, მეორეს კიდევ ერთს ტოტში გაჰყავს ხალხი და მეორე ტოტშიკი ან უნდა გატოპოს, ან თავში ქვა იხალოსო.

*** გაზეთს «მეურნეში» ვკითხულობთ: „ამ უკანასკნელს ხანებში ტფილისის სარდაფებში ძალიან ცოტა ღვინოა და რიგიანი ღვინის შოვნა ხომ ძალიან გაჭირდა. სირაჯებმაც ღვინოზედ ფასები მოუმატეს და ის ღვინო, რომელიც ამ ერთის თვეის, ან ორის კვირის წინად ოთხ ან ხუთ აბაზად იყიდებოდა თუნგი, ეხლა ხუთსა და ექვს აბაზს ნაკლებ აღარ იძლევიან. ღვინო ერთობ ცუდი, უგემური და გაფუჭებულია, ასე რომ ბევრს ღვინოს ღვინის გემოც თითქმის სულ აღარც-კი აქვს. ამას გარდა ამ ერთის კვირის განმავლობაში სამი იმისთანა მაგალითი ვიცით, რომ ღვინოში მატლები ნახეს. ორჯელ ეს მატლები თ—ის სარდაფიდგან მოტანილს ღვინოში ჰნახეს, რომელიც კუკიაში იმყოფება ელისაბედის ქუჩაზედ, და ერთხელაც იმ ღვინოში, რომელიც სირაჩხანიდგან, ნ. ნ—ს სარდაფიდგან, მოიტანეს“.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**მეჯვრისხევი**, 26 ივლისი. ერთი ახირებული მასწავლებელი მყვანდა. ცხონებული, — ღმერთმა შეიწყალოს, — ისეთს სახელებს დაარქმევდა ხოლმე, რომ სამუდამოდ შერჩებოდა შეგირდს. ერთს მოუსვენარს მოსწავლეს „ოროსპოლლი“ დაარქვა. დასწერა ეს სიტყვა და გააკრა კედელზე იმ ადგილას, სადაც მოსწავლე იჯდა. წარმოიდგინეთ, ისე იმოქმედა ამ სიტყვამ, რომ მოსწავლემ ზნე-ხასიათი ცოტ-ცოტაობით შეიცვალა. მაგრამ ხშირად ამ გვარი სასაცილო სახელი უფრო გადარევს ხოლმე ადამიანსა. აი ეხლა გორელს კაცს რამდენიც გნებავთ უძახეთ „მატრაბაზი“, გაიცინებს და გაივლის. აი მეჯვრისხეველს რამდენიც გინდა უძახე თუნდა მატრაბაზი, თუნდა ოინბაზი, ან ჩემის მასწავლებლის „ოროსპოლი“, იმას ფეხებზე ჰკიდია. მეჯვრისხევმა ყველას გაასწრო ჭორიკანაობაში, მატრაბაზ-ოინბაზ-ოროსპოლლობაში, „კლიაუზნიკობაში“ და სხვანი და სხვანი, რამეთუ სახელი მათი არს „ლეგიონ“. აქნამდის ასე ვიწყევლებოდი ხოლმე: „ღმერთმა ამოაგდოს იმერეთში ხანი და ამერეთში გორი-მეთქი“, მაგრამ ამ ჟამად ასე უნდა შევცვალოთ: „ღმერთმა ამოაგდოს იმერეთში ხანი, ამერეთში მეჯვრისხევი“.

მეჯვრისხევში მრავლად სცხოვრებენ თავადნი და აზნაურნი; ზოგს აზნაურს დიდად მოაქვს თავი, მეორეს არა კადრულობს; ამიტომ ერთი მეორის მტერია, ერთი მეორის კიცხვაშია. ვსთქვათ, მაგალითად, სია დააქვთ, ლოტოზე ჰპატიჟობენ. დაპატიჟებული გამოართმევს მასპინძლის ბიჭს სიას, გადასინჯავს, რომ გაიგოს სიაში მერამდენედა სწერია. თუ ღირსეულს ალაგს სწერია, ხომ კარგი, თუ არა და, ვაი ბიჭის ბრალი, სულ ნალვერდალს გადააყრის, როგორც თუ მე მღვდლიაანთზე ქვეით დაუწერივარო. გაჩნდება ერთი დავიდარაბა, აყალმაყალი და ამ უბრალო საქმის გამო ოჯახი ოჯახს გადეკიდება და ერთი საგვარეულო მეორესა. ესეც მოხდება ხოლმე, რომ ერთი მეორეს მურაბას დაუწუნებს და, თუ დამწუნებელი დაბალი გვარიშვილიც არის, ნახე სეირი!! სულ ამისთანა ცუდა-მადა საქმეებში ატარებენ დრო-ჟამსა. აი, ასე დაწვრიმალდა ჩვენში ხალხი!

აქ ერთს მაგალითს მოვიყვან მეჯვრისხეველების ცხოვრებიდამ. მოგეხსენებათ, რომ მეჯვრისხევში დილიჯნები დამართეს; მისვლა-მოსვლა გაადვილდა და გაიაფდა. ერთი დილიჯანი გამართა ოსმა, სოფ. ქლევანის მცხოვრებელმა, მეორე—მეჯვრისხევის მკვიდრმა მცხოვრებელმა ნ. სოლოლაშვილმა. აბა აქ რა უნდა იყოს. გამართეს, გამართეს, არა? ღმერთმა ხელი მოუმართოთ. ნწ! თქვენც არ მომიკვდეთ, მეჯვრისხეულმა „მატრაბაზ-ოინბაზ-ოროსპოლლობამ“ იჩინა თავი და ამ საქმიდამ (რომ ორი დილიჟანი გაიმართა) ისეთი საქმე დაჰბადეს, რომ ფას ამასთან ბისმარკი და იმისი ეშმაკური ხრიკები. როგორ გაჰბედა ვიღაც ლიჩელმა (მეტი გვარია სოლოლაშვილისა) დილიჯნის გამართვაო? შეხტნენ და შემოტრიალდნენ თავადები. არა, უკაცრავად, ყველანი არ შეხტარან, მხოლოდ ერთმა შეიმაგრა თავი. დიალ, შეხტნენ. ამათ აჰყვნენ აზნაურები და საბრალო გლეხები აზრად გაიხადეს და თან ააწიალეს. გამოაცხადეს ასეთი განაჩენი: სოფელი ჩვენია, გზაც მეჯვრისხევიდამ მოკიდებულ გორამდის ჩვენია; შეუძლიან ამ გზაზე სიარული მხოლოდ იმას, ვისაც ჩვენ ნებას დავცემთო. ითქვა, გათავდა. გამოუცხადეს მთელს სოფელს, რომ მარტო ოსს კუსრაშვილსა აქვს ნება ატაროს დილიჯანი და ვინც ნ. ლიჩელის დილიჯანში ჩაჯდება, იმას მანეთიდამ ოცდა-ხუთ მანეთამდე ჯარიმა გადახდებაო. ერთმა თავადმა თურმე სამჭედლოდამ კინალამ გამოაგდო მჭედელი, როგორც თუ ლიჩელის დილიჯანში ჩაჯექიო.

ახლა ვიკითხოთ, რა დაშავა ლიჩელმა და რა გაათეთრა კუს—მა. არც არა ერთ დაუშავებია-რა და არც მეორეს გაუთეთრებია-რა. მაშ რად აღუკრძალეს მეჯვრისხეველს კაცსა, თავის მეზობელსა, და რად უმართავენ ხელს ვიღაც გადამთიელს კაცსა? იმიტომ, რომ ის მეზობელია, ის მეჯვრისხეველია. ამისთვის პირში სული შურთ. სხვა მიზეზი აქ არა არის-რა. შეაგულიანეს მამასახლისი, „პრიგოვორი“ დაადგენინეს და მთელმა სოფელმა თავიდამ მოკიდებული უკანასკნელ გლეხამდე ყველას ხელი მოაწერინა. ახლა თქვენ ნახეთ ოსის სიამაყე, ოსის შუბლზე ისე წყალივით კითხულობთ: „ღმერთო, რა სიკეთე მიმიძღვის, რომ მეჯვრისხევში გადმომაგდეო. ღმერთო, რა ხალხი ყოფილა; რაზე ჰხოცვენ ჩემის გულისთვის ერთმანეთსა. მაგრამ ჯანიც გავარდნიათ, ე მე კაი საქმე მიყვეს და ორნივ წყალმა და მეწყერმა ზიდოსო“. ზის თავისთვის და იგრეხს ულვაშ-ბილსა.

ამ ამბის შემდეგ ბ-ნმა სოლ—მა დილიჯანს ფასი დააკლო—30 კ. გახადა, მერე აბაზზე ჩამოვიდა, ასე რომ მისვლა-მოსვლა ჯდება ორი აბაზი, მაგრამ მაინც ამანაც ვერ უშველა. მეჯვრისხეველებმა უფრო მოუჭირეს მეზობელსა. ხომ დაადგინეს, არა ვინ ჩაჯდესო. ეს არაფერი. ერთს კვირა დღეს შეჰყარეს ხალხი. აგერ ხალხი ზიმზიმებს, კომბლების ტყეა; მოვიდნენ „ადვოკატებიცა“, წამოიცვეს მაიმუნებრ სათვალეები და „სარეჩედ“ მოემზადნენ. აგერ წამოდგა ადვოკატი“, წოდებული „ქულ-ფავრად“, მიიღო მრისხანე სახე (ოჰ, იუპიტერო, დაგვიხსენ განსაცდელისაგან, ვსთქვი გუნებაში იმის დანახვაზე) „აღძრა თვისი ტკბილი ენა და მსაჯულებს მოახსენა: ჩვენ თუ გვსურს ლიჩელის შემუსვრა, უნდა სრულიად აღუკრძალოთ გავლა მეჯვრისხევში და იმის გზაზე...

— ახლა, ბატონო, შენი ჭირიმე, ვთქვათ, რომა, რომელიცა რომა — ჰმ! საქონელი გახლავთ, ახლა ი საქონელი როგორ უნდა მირეკოს სახლში, თუ გზას არ მივცემთ.

— ტუტუცო, შე დურაკო, „ზაკონებში“ ასე სწერია, რომ ლიჩელი დილიჯანს ნუ გაატარებსო, ნუო! თუ ვინიცობაა გაატარებსო, სოფელმა უნდა ზღოსო; იმის დილიჯანს ისეთი თვლები აქვს, რომ გზასა სთხრის, ოსის დილიჟანს-კი ხავერდი აქვს გადაკრული. იმ ზაკონის სტატიაში სწორედ ასე სწერია.

— კაცო რა, თუ ხელმწიფის ზაკონების კანონებში წერებულა, რომ გიგუა ლიჩელის შვილს ნიკოს აეკრძალება სიარული, რაღა, ამას თითონ ხვანთქარიც ვერ წაუვა.

ხუმრობა გაშვებითა და ამ კრებაზე გადასწყვიტეს, გზაც აღარ მისცენ სოლ—სა. წათამამებული გლეხობა ამ თთვის ოც-და-ოთხს დილით დაუხვდა კეტებით ს—ს დილიჯანსა და რის ხვეწნით, რის ვედრებით გაატარეს გზათა. დილიჯანში მოხუცი მამა ნიკო ს—სა რომ არა მჯდარიყო და მუხლებზე არ შემოხვევიყო კეტო-

---

ხრიკები და ოინები. ვინ მოსთვლის რამდენი რა არ ჩაიდინა ხონმა, რომ სამასწავლებლო სემინარია, რომელმაც პირველ ყვავილად აშორდია აღმოაცენა, ქუთაისისათვის აეცილებინა და თვით გადაებირებინა; ამ გვარისავე ბრძოლის შედეგი იყო ნაოლალევის დაწიოკება, მარტვილის საკათედრო სობოროს გაუქმება, აქედამ კათედრის ფოთში გადატანა; ამის შედეგი იყო სამეგრელოს სასწავლებლის ქუთაისში მოგზაურობა, უკანვე დაბრუნება, აქ დაწვა სასწავლებლის სახლისა და მერე ახალ სენაკში დაფუძნება და ახლა ისევ აქედამ ფეხის აღგმა და უკანვე, ძველს სადგურზე მიბრუნებისათვის მეცადინეობა უმეტესის ნაწილის სამეგრელოს სამღვდელოებისა; ამისი შედეგია დღეს ფოთელების ზრუნვა და საჩივარი, რომ სასულიერო სასწავლებელი ფოთს დამტკიცდეს. ფოთელებს ბევრი ნახარჯი აქვსთ ამ საქმისათვის, ბევრი შრომა და მისვლა-მოსვლა და ახლა დარწმუნებულიც რომ იყვნენ, რომ სასწავლებელი და კათედრა იმათ იმდენს ვერას შესძენს, რამდენსაც მთელს საზოგადოებას დააკლებს, რა-კი ერთხელვე ასეთს გზას დაადგნენ, არ უნდათ უკან დაიხიონ და თავისი უნდათ მაინცა და მაინც გაიტანონ. მიდის და მოდის, ვისდამიც ჯერ არს, თხოვნა და ხანდახან საჩივარიც, არა ჩვენა და არა ჩვენ მოგვეცით სასწავლებელიო. წარსულს წელს ერთი-მეორეზე წარსდგნენ საქართველო-იმერეთის ეგზარხოსთან ფოთისა და ახალ-სენაკის დეპუტაციები და სთხოვდნენ, არა ჩვენ და არა ჩვენ სამეგრელოს სასწავლებელიო. ეგზარხოსმა შესაფერის პასუხით გამოისტუმრა ორივე მთხოვნელი. მოციქულები: მე თითონ ჩამოვივლი, დავათვალიერებ ორივე ქალაქს: ფოთსა და სენაკს და, სადაც ვამჯობინებ, სასწავლებლის გადატანას იქით ვურჩევ სამღვდელოებასა, მაგრამ საბოლოოდ ამ საქმის გადაწყვეტა-კი სამღვდელოების საქმეაო.

ეგ ორი დაბა-ქალაქი რომ ასე აწყდებოდნენ ერთმანეთს, მარტვილი თავისს საქმეს იწყებდა: სინოდმა 10,000 მანეთი მოსთხოვა მარტვილის საზოგადოებას—სასწავლებელი თქვენ დაგიბრუნდებათ, ოღონდ ზემოხსენებული ფული შესწირეთ სასწავლებელსაო. დაიქანჩალა თავი ამ საზოგადოებამ და სამის თთვის განმავლობაში ათი ათასი მანეთი უკლისად წარუდგინა ყოვლად სამღვდელო გურია სამეგრელოს ეპისკოპოსს გრიგოლს წარსადგენელად, სადაც ჯერ იყო. ამ ფულის შეტანით მარტვილელებს საქმე მოგებული ეგონოთ, მაგრამ საქართველოს ეგზარხოსმა, სამეგრელოს დათვალიერების შემდეგ, კიდევ სამღვდელოების კრება დანიშნა ახალ-სენაკს ამ საგნის შესახებ. კრებამ მოისმინა ფოთის წარმომადგენელის პირით ჩამოთვლილი შეწირულებანი სასწავლებლისათვის, ერთ-ხმად უარი უთხრა, უარი-კი არა, პირდაპირ გარდასწყვიტა: ფოთზე დღეის იქით ლაპარაკიც აღარ იქმნესო. ახლა შეიბნენ ახალ-სენაკი და მარტვილი; შეიბნენ და ისე გაემკლავნენ ერთმანეთს, რომ, თუ კრებაზე წესიერება დაცულიყო, სამღვდელოებას არ დაეშალა იგი და ხსენებულის საგნის გარდაწყვეტა შემდეგისათვის არ გადაედო, ან ერთი დაბა ჩაიგდებდა სამუდამოდ ხელში ამ „მოსეირნე“ სასწავლებელს, ან მეორე. უფრო-კი ახალი სენაკი ელოდა ლელოს დაძახებას და ბურთის გატანას. ჩემის აზრით, გაიტანდა კიდეც: ასე წარმოიდგინეთ, რომ სვანეთიდამ ჩამოსული სამღვდელოთა წარმომადგენელიც ახალის სენაკის „პრატია“ იყო რაღაც მანქანების ძალისა გამო. მომავალ თთვეში კიდევ უნდა მოხდეს კრება ამ საგნის შესახებ და ვნახოთ, რომელი გადიხდის გამარჯვების ომს. ამ გვარს ბრძოლას მარტო სამეგრელოს სასწავლებელი არ შეხვედრია. ყოველი ახალი დაწესებულება, ყოველი ახალი საქმე უთუოდ უნდა ელოდეს ზემო აღნიშნულს „ჩემია“-„შენიაო“-ბას“. ამ „ჩემია“-„შენიაო“-ბამ ბევრი ავნო სენაკის სათავად-აზნაურო სასწავლებლის სახლის ასაშენებელ ფულის მოკრებასაც. ვინც შეიტანა ფული, პირობით გადიხადა: უთუოდ ამა-და-ამ ადგილს იქმნეს სასწავლებელიო; ვისაც დანიშნული ადგილი არ მოსწონს, იგიც პირობით იძლევა: თუ იქ არ იქმნება და აქ იქმნება, მაშინ შემოვიტანო, და სხვ.

როცა მწერლობა ასეთს მოვლენას ჰხედავს რომელისამე საზოგადოების ცხოვრებაში, იგი ვალდებულია თვისი აზრი დროზე და პირ-უთვნელად წარმოსთქვას და ამითი ერთის მხრით თვით მთავრობას შეუმსუბუქოს საეჭვო საგნის კანონიერად გადაჭრა, და მეორეს მხრით თვით საზოგადოებას განუმარტოს, რამდენად მაზარალებელია ყოველის ჩვენის საქმისათვის ასეთი მოუთავსებლობა, ასეთი შეუგნებლობა საზოგადო ინტერესისა, ასეთი ზრუნვა მხოლოდ კერძო, ორისა და სამიოდე კაცის კეთილდღეობისათვის. თუმცაღა მწერლობის რიგია პირუთვნელად და აშკარად გამოაქვეყნოს ჭეშმარიტება, მაგრამ ამ საინტერესო საგნის შესახებ მხოლოდ დედააზრს გამოვთქვამთ და წვრილმანებს-კი თავისს დროზე შევეხებით.

ახლა ვიკითხოთ: რისთვის ჰპატიჟობს ფოთი კათედრასთან სასულიერო სასწავლებელს? რისთვის მოუნდო-

სნებსა, ცხენებსაც დაჰხოცდნენ და არც მეეტლე გადარჩებოდა ცოცხალი. აზირებულია, ღმერთმანი! რადა, რისთვის ჩადიან ამისთანა საქმესა! თუ ს—ი ქურდია, ავაზაკია, ბოროტია, სოფლის მავნებელია, გარყვნილია, ავ-ზნე კაცია, ამისათვის ქვეყანაა და სამართალი. მიჰმართონ, სადაც ჯერ არს, და ღირსეულად დასაჯევინონ. თუ არა-და, იმათ რომ ს—ს სახე არ მოსწონდეთ, ვისი რა ბრალია. ან მეჯვრისხეველებისაგან შეყვარებული ოსი რითია მეტი შეძლებულს ქართველზე! სთქვან ყველა ეს ან გაზეთით, ან საჩივრითა. რად უნდათ სისხლის ღვრა და აყალმაყალი; ვისთვის რა საკადრისია ამისთანა საქციელი? ვაი, ვაი, მშობლის ძუძუებო! რა გვარად დახურდავდა, დაკნინდა, დაქუცმაცდა ჩვენი სოფელი! დახე რა საქმეებს გამოსდგომიან-და! მგონი მათნი წინაპარნი საფლავში ირყევიან ამ საქმის გამგონნი.

იქნება გეგონოსთ, რომ ყველა ეს, რასაც მე აქ ვლაპარაკობ, ტყუილი ყბედობაა, უსაფუძვლოა. არა, სრულიადაც არა. პირველი განაჩენი ვერ ჩავიგდე ხელში, ხოლო ბრძანება, რომელიც მამასახლისმა მეჯვრისხევისამ მისწერა ს—სა, დღეს ხელთა გვქონდა. დედანი ამ ბრძანებისა ს—მა წარადგინა მაზრის უფროსთან; სიტყვით-სიტყვად გადავიღე და აქ ჩავსწერე დასაბეჭდადა: „1888 წ. კათათვის 22 დღესა გიცხადებ დიდი-მეჯვრისხევის მამასახლისი თქვენ ნიკოლაი გრიგორიჩ სოლოღოვსა რომა აგიკრძალამ დიდ-მეჯრუხევის მამასახლისი ოფჩესტვის საზოგადოებისა გაჩნა, თავადისა და აზნაურებისაგან და გლეხებისაგან არ უნდა დააყენო დილიჯანი დიდ-მეჯრუხევში დღეის იქიდან აღარ დააყენო თორემ აზიდას მოგცემ მერე სალა გინდა მიჩივლე. გწერ დიდი მეჯვრუხევის საზოგადოების მამასახლისი ივანე ძაგანელი“. ამ ბრძანებას ბეჭედიც აზის სოფლისა. ასე და ამ გვარად სრულიად უმიზეზოდ აღარ ატარებენ გზადაც თავისს მეზობელსა, რომელსაც ვერც ჭირში და ვერც ლხინში ვერ ასცდებიან. მგონი მკითხველი შევაწუხე ამდენის ლაპარაკით დილიჯანზე, მაგრამ თუ ვილაპარაკე, იმიტომ ვილაპარაკე, რომ ქვეყნისათვის დამენახვებინა, როგორც ზემოდაცავსთქვი, თუ რა ნაირად დახურდავდა სოფელი, რას აკეთებს დღეს, რითი სურს ისახელოს სახელი და რაზედ შესცვალა თავისი იდეალები. ღმერთმანი, საცინელია ამათი საქმე, რომ ამასთანავე სატირალიც არ იყოს.

## წვრილი ამბები

პარიჟელი კორრესპონდენტი «Independance Belge»-სი ამბობს, რომ ემილ ზოლა, მიიღებს თუ არა საპატიო ლეგიონის ჯვარს, მაშინვე საფრანგეთის აკადემიის კანდიდატად გამოვა.

— ეს არის ახლა გამოიცა ალფონს დოდეს ახალი რომანი „L'Immortel“-ი და უკვე 60,000 დაიბეჭდა ზოგიერთის ცვლილებითა და დოდეს შემდეგის წერილით: „მე ჩემს დღეში არ გამოვიცხადები, რომ აკადემიაში წევრობა მსურს-მეთქი, არც ეხლა ვაცხადებ და არც გამოვაცხადებ ოდესმე“.

— ბისმარკს წინაში უქლია. გერმანიის კანცლერი ეხლა 190 გირვანქას იწონის და ამ რამდენისამე წლის წინად-კი 247 გირვანქას იწონდა.

— მადრიდის ერთს სახლში პოლიციას უპოვნია 4,000 ფუნთის წერილი, სხვა-და-სხვა კაცთა სახელზედ დაწერილი. ამბობენ, რომ ეს წერილები ფოსტიდგან არის დაპარულიო.

— საქსონიის ერთს პატარა დაბაში ვიღაც შინდტი რაღაცაზედაც წასჩხუბებია თავისს მშობლებს და გაჯავრებულს თავი მოუკლავს შიმშილით. ამ აზრით პირველში, რამდენსამე დღეს, მარტო ლუდსა სვამდა თურმე, შემდეგ ამასაც თავი დაანება და წყლის მეტს აღარას ეკარებოდა. ასე საზრდოობდა და ივევებოდა ოთხმოც-და-ათის დღის განმავლობაში, ხოლო მეოთხმოც-და-თერთმეტე დღეს-კი მკვდარი იპოვნეს თურმე.

— პროფესორ ბილროტთან მისულა ამას წინად ერთი ადამიანი და უთხოვნია, რომ რაიგანსი ცხვირი გამიკეთოთ.—„რამდენის წლისა ხართ?“ ჰკითხა პროფესორმა.—ოთხმოცისა.—„ნუ თუ მაგისთანა მწუხარებისას კიდევ სიცოცხლის მიჩენია?“—ჩურჩულად და ნაზად. „აქვსთ! უბედურად დაბადებული ის იყო... აბა?“ ... — „დედანთ უთქმთ“ ... —ერთმანეთის შესახები. — ფესვიდან უპრიფერო იყო. — ეს ის შემთხვევაა, როდესაც — ... — „კლ.“

## გასართობი

მიუნჰენის ერთს გაზეთში შემდეგი ახირებული განცხადებაა დაბეჭდილი: „პირველ ამ წლის სექტემბერს მიწვეულია ერთი ეკონომი-ქალი ხნიერ, მოალერსე და გონება-მახვილ კაცთან (მოხელე დ.). იგი უნდა იყოს: არა მეტად ახალგაზდა, გაგებული და ნასწავლი, პატივის მოყვარე, ერთგული, უბიწო, სახლში სადად განათლებული, წესიერებისა და სისუფთავის მოყვარე, მკვირცხლი, მოხერხებული, საიმედო, გულ-მართალი, ჯან-საღი და ჯან-მრთელის მშობლების შვილი, კათოლიკე, კარგის მიხვრა-მოხვრისა, მხიარულისა, ხოლო მშვიდისა და კეთილის ხასიათისა, სამეურნეოდ განვითარებული სმენა უნდა ჰქონდეს, გემრიელის საჭმლების კეთება შეეძლოს და თავის თავად ოჯახის გაძღოლა იცოდეს. შეძლება არა უნდა-რა. იქნება ისეც მოხდეს, რომ ცოლად იქმნას შერთული ზემოხსენებულ კაცის მიერ. მილუხულს წერილში დაწვრილებით უნდა იყოს პირობები აღნიშნული, იქვე იდოს სურათი და სურათზედ ეწეროს თვით იმისივე ხელით ნაწერი ავტობიოგრაფია. ადრესი... ადრევე ვაცხადებთ, რომ მხოლოდ იმ ქალს, რომელსაც ზემოდ აღნიშნულნი თვისებანი ექმნება, შეუძლიან მოგვმართოს ჩვენ. უოველს კანდიდატს-ქალზე ფიცხელი გამოძიება იქმნება დანიშნული იმისის ვინაობის შესატყობრად“.

**

წარსულს კვირას ბერლინში მომხდარა ერთი ამბავი, რომელიც გამოცდილის დრამატურგის ხელში კარგს შინაარსობას გასწევს „ტრაგიკულის ვოდევილისა“ და ან „ვოდევილურ ტრაგედიისათვის“. აი ეს ამბავი.

ერთს ვაჭარს მშვენიერი ცოლი ჰყოლია, ხოლო ამასთან ღმერთს ისეთი სიდედრი ურგუნებია, რომ სიცოცხლეს უწამლავდა თურმე. წარსულს წელს ვაჭარს ცოლი გარდაცვლილა, ასე რომ სიდედრისაგან, ასე უ ფიქრი მტრისა თუ ისე, თავი დაეღწევია. რადგან პირველის ცოლისაგან სამი ყმაწვილი დარჩენია, განუზრახავს ცოლის შერთვა და ჯვარიც დაუწერია ერთს ყმაწვილს ქალზედ. ამ ქალს ერთის მამის მეტი არავინა ჰყავდა თურმე, რომელიც თავისს სიძე-ქალისასა სცხოვრებდა მშვიდობიანადა და ტკბილად. ცოტა ხანს შემდეგ მოხუცი კაცი—სიმამრი ვაჭრისა საქსონიაში წასულა და იქიდგან თავისიანებს წერილებსა სწერდა თურმე პირველში ხშირად, ხოლო შემდეგ უფრო და უფრო იშვიათად. ბოლოს ახალგაზდა ცოლქმარით მოსვლიათ წერილი: მოვდივარ, მომეგებენით და ერთი რამეც უნდა გახაროთო. დანიშნულს დროს სიძე-ქალი წასულან რკინის გზის სადგურზე. მატარებელიც მოსულა, სიძე-სიმამრი გადაეჰხვევიან ერთმანეთს, ხოლო უეცრად,—უჰაი, დაიფარე ყველა ქრისტიანი!—სიძის წინაშე მოხუცს სიმამრს წარუდგენია თავისი ცოლი, რომელიც... ვაჭრის პირველის ცოლის დედა, უწინდელი სიდედრი აღმოჩენილა, ის სიდედრი, სიცოცხლეს რომ უწამლავდა და უხრამავდა! მოხუცებული კაცი დრეზდენში გასცნობია ამ დედაკაცს და ცოლად შეურთავს. ეს იყო თურმე ის სახარებელი, სიმამრი რომ ჰპირდებოდა სიძესა.

## დეპეშა

28 ივლისი

**სოფია.** კობურგის პრინცი ჰფიქრობს რუშჩუკს წავიდეს და იქ უცადოს, რა მოხდება პოლიტიკაში.

**ვენა.** აქ ამბობენ, რომ მართალი არ არის, ვითომ დედოფალს ნატალიას განზრახვა აქეს თვით მივიდეს ბელგრადის კონსისტორიაში და პირად თვითონ დაიცვას თავისი უფლებანიო. დედოფალი შვეცინგენში დარჩება ოქტომბრამდე და შემდეგ წავა რუსეთს.

**რომი.** გერმანიის მთავრობამ გამოაცხადა, რომ მასსოვის საქმეში მეც იტალიის მთავრობის თანხმა ვარო.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატამ 180 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 64 ხმისა შეიწყნარა გადაწყვეტით პროექტი გამოძიების დანიშვნისა პარნელის საქმის გამო. კენჭის ჩამოტარების დაწყებამდე, პარნელის მომხრენი გამოვიდნენ დარბაზიდამ.

**პარიჟი.** სასაფლაოზე პოლიციამ წინააღმდეგობა აღარ დაუწყო ხალხს ბაირაღების ამართვისათვის. ედეს საფლავზე ბევრმა წარმოსთქვა სიტყვა. ისმოდა ყვირილი: „გაუმარჯოს კომმუნასა და რევოლიუციასაო!“ დასაფლავების შემდეგ უწესოება არ მომხდარა. სულ დაიჭირა ჩხუბებში 50 კაცი და 25 დაპატიმრებულ იქმნა. რომელარი, რომელიც არწმუნებდა ხალხს, ნუ აღმართავთ წითელს ბაირაღებსაო, ძალიან გალახეს კომუნარებმა.

**პეშტი.** მკა ყანებისა გათავდა; ეხლა ლეწვა დაიწყო. ჰავის პური რაოდენობით ცოტა მოვიდა, მაგრამ თვისებით-კი კარგია. ქერი ნაკლებად მოვიდა; თვისებითა და სიკეთით ქერის მოსავალმა ვერ გაამართლა მოლოდინი. შვრიას მოსავალი გვარიანია.

**ლონდონი.** ჰირნახულები თანდათან უკეთესობაში შედის.

**პარიჟი.** ჩრდილოეთ დეპარტამენტში მაშინ დაიწყო შემოსვლა ჰირნახულებმა, როცა წვიმები და სიცივეები დადგა. შიშობენ, რომ მარცვალი წვრილი არ გამოვიდესო. სამხრეთსა და შუაგულს დეპარტამენტში მკა გათავდა. აღმოჩნდა, რომ წელს 20 მილიონ ჰექტოლიტრით უფრო ნაკლები გამოსავალი არის წარსულ წლებთან შედარებითაო.

---

მებიათ დაჟინებით, რომ ზედა სამეგრელოს, სვანეთისა და ლეჩხუმის კეთილ შეზავებულს ჰაერში აღზრდილი ბავშვები პალეასტრომის ხაშმით დაავადმყოფდეს?—საკუთარისა და ისიც შეუგნებელისა და არა ბევრად ღირებულის სარგებლობისათვის. რატომ არ ეშვება სასწავლებელს ახალ-სენაკი? თავისის საკუთარის სარგებლობისათვის. რისთვის მისტირიან მარტვილის უბნის მცხოვრებნი სასწავლებელს? (მე იმ მღვდლებზე არას ვამბობ, რომელთაც ბევრი შეწირულება შესძინეს სასწავლებელს და რომლებსაც მხოლოდ სასწავლებლის კეთილდღეობა აქვსთ სახეში), ისევ თავისის საკუთარის სარგებლობისათვის. რა მიზეზია, რომ აქამომდე სუჯუნას არ ამოუღია ხმა და ახლა თუ აპირებს ლალარლილებას, რამ აიძულა? იმავე მიზეზმა, რამაც ზემოხსენებული დაბები ასტეხა საქიშპოდ. ამათდა გვარად ეცდება უთუოდ ძველი სენაკიც და იმავე აზრით. აბა სინიდისს ქვეშა სთქვან ყველა ამ დაბებმა, რომელს ამათგანს შესჭირს სასწავლებლის საქმე, რომელი ამათგანი ილვწის იმისის კეთილდღეობისა და წარმატებისათვის? არა, მე იმას არ ვამბობ, რომ იმათ სასწავლებელი არ უყვარდესთ, მაგრამ ამ შემთხვევაში მათს მოქმედებას სასწავლებლის საყვარუულის სარჩული უძევს, თუ თავისი ინტერესი და სარგებლობა? დიაღ, ეგ ერთად-ერთი ინტერესია მიზეზი ამ დაუძინებელის ბრძოლისა. აი, როგორ დაიწყო ეს ბრძოლა: აგერ რომელსამე დაბაში ვიღაც ვაჭარს ბუნაგი გაუკეთებია, რამდენიმე დუქანი და სადუქნე მიწა შეუძენია ჩალის ფასად, ვაჭრობს სიმინდსა და სხვა-და-სხვა ადგილობრივს საჭირო საქონელს. რამდენიც უფრო ბევრი მცხოვრები შეეძინება ამ დაბას, იმდენად უფრო გაფართოვდება ხსენებულის ვაჭრის სავაჭრო ასპარეზი, იმდენად უფრო ბევრი შეეძინება. ამიტომ არაფერს საშუალებას არა ჰზოგავს, ოღონდ-კი გადიბიროს თავისკენ ყველა მომხრე ამა თუ იმ დაწესებულებისა; აიყოლიებს ლახორას და ამ გვარად შეიქნება ხოლმე ხან მოწამლმართე, ხან მოუკულმართე „პარტია“.

ამ მხრით უნდა შევხედოთ ხსენებულს მეცადინეობას ყველა დაბა-ქალაქებისას, ამ ალაბით უნდა გავზომოთ ზნეობითი მხარე იმ ბრძოლისა, რომელიც დიდი ხანია ატეხილია ხსენებულ დაბა-ქალაქთა შორის შესახებ ზოგიერთ დაწესებულებათა აქა თუ იქ დაარსებისათვის. ამათ ხელს უმართავს აგრეთვე ის გარემოება, რომ ეხლანდელს დროში არავის არ დაეწუნება თავისს სასარგებლოდ მეცადინეობა, რაც უნდა უსამართლო და უზნეო იარაღი იხმაროს, არავის არ აიყვანებენ სარჩიბელაზე იმისთვის, რომ სხვისის დარჩობით თავისი საუნჯე გააფართოვოს და საკუთარი საშილიშილო საქმე მოაწყოს. ახლა ისეთი ქამია, რომ შესახედავად მგლის ტყავი ნუ წამოგესხმება და მგლის კუდი ნუ გამოგებმება და მგლურის ხასიათის ქონებისათვის-კი კაცი არ შემოგიქაქანებს.

ხალხი, საზოგადოება, წოდება, რომლისათვისაც უნდა არსებობდეს ესა თუ ის დაწესებულება, ან განზე სდგას იმათ ბედ-იღბლის გარდაწყვეტის დროს, ან თუ მოქმედებს, მოქმედებს ზემო აღნიშნულ კაცთა გავლენის ქვეშ. ხშირად სრულიად შორსა სდგას და ვერც-კი გაიგებს ხოლმე, რისთვის აილეს და წაილეს აქედამ თუ იქიდამ სასამართლო, რისთვის მოიცვალა ადგილი სასწავლებელმა, სამსაჯულომ და სხვამ. მერე გაივლის 4—5 წელიწადი, საზოგადოება ჰგრძნობს უხერხულობას ცვლილებისა გამო, ასტყდება უკმაყოფილება, ყაყანი, საჩივარი, ბრძოლა და ბოლოს ის, რაც წინად მოწონებული იყო, დაწუნებული შეიქმნება ხოლმე და ასე და ამ გვარად საზოგადო საქმეები ბრკოლდება, ზნეობა მებრძოლთა ილახება, ეცემა.

ზემოდ აღნიშნული ფაქტები იმ განზრახვით მოვიყვანეთ, რომ ვეცადოთ შემდეგისათვის მაინც თავიდამ ავიცილოთ ის მიზეზები, რომელნიც მუდამ წინ გვეღობება, როცა რაიმე საზოგადო საქმე შეგვექნება საბაასოდ. აი, დღეს თუ ხვალ კრება იქმნება სამეგრელოს სამღვდელოების სასაწავლებლის სენაკიდამ მარტვილს გადატანის, ან სენაკშივე დატოვების შესახებ. სამღდელოება ნუ შეხედავს ამ საქმეს ცალქიად და არაქულად. ამ საგნის გარდაწყვეტის დროს თვალწინ დაიყენონ მომავალი სამღვდელო ახალგაზდობა, რომელიც მრთელი უნდა იქმნეს გონებით, ზნეობით და სულითა და ხორცით. მხოლოდ მრთელს ადამიანს შეუძლიან აღზარდოს მრევლში მრთელი რელიგიური ზნეობა, თუ-კი ამ სურათს განსჭვრეტს სამღვდელოება და პირ-უთვნელად მოიქცევა, ჩვენ მიუთითებლადაც ადვილად ავირჩევთ საუმჯობესო ალაგს, სად უნდა მიუჩინოს ბინა სამეგრელოს მუდამ „მოსეირნე“ და „პარტიის“ ხელით გადამწვარს სასწავლებელს. ვისურვებთ, რომ სამღვდელოებას თავიდამ აეცილებინოს ყოველივე გარეშე გავლენა, რომელთაც სასწავლებლისა იმდენად არა შესჭირსთ, რამდენიც საკუთარი ინტერესი აწუხებსთ და ამოქმედებსთ. ვისურვებთ, დასრულებულიყოს ასეთი საზარელი განხეთქილება, შფოთი და ბრძოლა.

ს. უ—ნი

29 ივლისი

**ლონდონი.** მარკიზმა სალისბერმა, როცა ლორდ-მერთან იყო ბანკეტზე, ლაპარაკი ჩამოაგდო საგარეო პოლიტიკაზე და სთქვა: პოლიტიკაში საზოგადოდ მშვიდობა ჰსუფევს; ინგლისის პოლიტიკა ეგვიპტეში შეუცვლელი დარჩა; ბოლგარია, რაოდენადაც ეს საქმე უცხო სახელმწიფოებს შეეხება, მერმისში მხოლოდ მშვიდობასა და სიწყნარეს გვიქადის; ინგლისს მხოლოდ ისა ჰსურს, რომ ბოლგარია თავისუფალი და დაუმოკიდებელი იყოს. ავსტრი-ვენგრიას უნდა, რომ, ვისაც რა მიწა უჭირავს დღეს, იგივე ეჭიროს შემდეგაც; რუსეთის სურვილია, ბოლგარია კმაყოფილი იყოს და ჰყვაოდეს; ესეთს ყოფას ბოლგარიისას რუსეთი დიდს სიამოვნებად მიიღებდა და ისე იანგარიშებდა, რომ ჯილდო მიეიღე იმისი, რაც ჩემმა მხედრებმა მისთვის სისხლი დაჰღვარესო; იმპერატორმა ვილჰელმ II, ავიდა თუ არა ტახტზე, მაშინვე აგრძნობინა ქვეყანას, რა ძვირად აფასებს ეს ხელმწიფე სიკეთეს მშვიდობიანობისას რუსეთსა და გერმანიას შორის. ყოველივე ესე მოასწავებს მშვიდობასა და სიწყნარეს ყველასთვის, ვისაც-კი ძვირად უღირს ინტერესები ინგლისისა.

**პარიჟი.** 24 დაპატიმრებულთაგან მხოლოდ 8 კაცი იქმნა დამწყვდეული; დაჭრილი იყო სულ 30 კაცი და ყველა სუბუქად. სალამომ საკმაოდ მშვიდობიანად ჩაიარა, მხოლოდ რესპუბლიკის მოედანზე რამდენგანმე მოხდა ჩხუბი და ჯარი მოეშველა პოლიციელებს გამოსახსნელად. ჩხუბი მოხდა აგრეთვე სენტ-ანტუანის უბანში, სადაც რამდენიმე კაცი ოდნავ დაიჭრა და რამდენიმე შეპყრობილ იქმნა. ამიენში უწესოება აღარა ყოფილა-რა.

**ვენა.** ბელგრადიდამ სწერენ დეპეშით „Politische Correspondenz“-ს, რომ დედოფალმა ნატალიამ შეიწყნარა კომპეტენცია კონსისტორიისა და განქორწინების საქმეში დედოფლის დამცველად დანიშნულ იქმნა პიროჩანცი. ეს ამბავი შეატყობინეს მთავრობას და მთავრობამ ამის საწინააღმდეგოდ არა სთქვა-რა.

**ლონდონი.** ინგლისის ბანკმა ასწია დისკონტი 2½-დამ 3%-მდე.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო ბანკი პეტერბურგისა შემდეგისათვის აილებს ვექსილების განაღდებისათვის და სპეციალურ მიმომდინარე ანგარიშებისათვის 5½%, სესხისათვის 6%, როცა სავაჭრო საქონელი ექნება გირაოდ, და 7%, როცა პროცენტიანს ქაღალდებს მიიღებს გირაოში.

სამარყანდის რკინის გზის მკეთებელი გენერალი ანნენკოვი დანიშნულ იქმნა იმიერ-კასპიის სამხედრო რკინის გზის გამგებლად.

„Русскій Инвалидъ“-ში გამოცხადებულია ინსტრუქცია იმათთვის, ვინც განაგებს სამხედრო ცხენების აღწერის საქმეს.

„Гражданинъ“-ი იუწყება, რომ ფინანსთა სამინისტრომ წარადგინა სახელმწიფო საბჭოს პროექტი პრაპანაციის კანონების შეცვლისათ.

**კილლერის ახალი ასანთები მაგნი**

ლითონის მასრებში. ძალიან კაშკაშად და საუცხოვოდ ანათებს და კარგი სახმარებელია ოთახებისა და ბაღების გასაჩირაღდნებლად, ეკკლესიის გუმბათებისა და ცერემონიების გასანათებლად. ანთების დროს არც ბოლი აქვს და არც სუნი და აგრეთვე ფოსფორითაც ადვილი და უშიშარი გასაგზავნია.

ისყიდება პროვინციაში ყველა დიდ მოვაჭრეებთან; მოსკოვში—რ. კილლერთანა და ამხ., ნიკოლსკის ქუჩაზე. 3—2 (ц.)

**კაურჩუკის წასასმელი**

**ჯაობებში სატარებელ წაღებისათვის**

**რ. კიოლერისა და ამხ ფაბრიკისა, მოსკოვში.**

ეს წასასმელი ტყავს ძალიან არბილებს და მერე ისე, რომ წყალი ვერ შეატანს. იგი ყველა სხვა ამ გვარ წასასმელებზე უფრო იაფია.

ისყიდება პროვინციის ყველა დიდ მოვაჭრეებთან; მოსკოვში—რ. კიოლერთანა და ამხ., ნიკოლსკის ქუჩაზე. 3—2 (ц)

# ბ ა ლ ა ნ ს ი

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა, 1 ივლისისათვის 1888 წლისა.

**აქტივი**

| | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|
| 1) ნაღდი ფული კასსაში . . . . | 52,596 | 67 | | |
| გირაოს ფურცლები. . . . . | 176,800 | — | 229,396 | 67 |
| 2) მიმომდინარე ანგარიშებზე: | | | | |
| ა) სახელმწიფო და კერძო ბანკებში. | 52,316 | 61 | | |
| ბ) კორესპონდენტებთან . . . | 39,731 | 79 | 92,048 | 40 |
| 3) მიბარებულობა: | | | | |
| ა) საწევრო ფული ტფილისის ურთიერთ შორის ნდობის საზოგადოებაში . . . . . . . | — | — | 60 | 57 |
| 4) ბანკის სარგებლიანი ქაღალდები: | | | | |
| ა) სახელმწიფო და მთავრობის გარანტიის ქაღალდები, შენახულნი სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში 150,500 . . . | 139,825 | 40 | | |
| ბ) სხვა სარგებლიანი ქაღალდები 25,500 . . . . . . | 24,475 | 74 | | |
| კორესპონდენტებთან 74,900 . | 75,688 | — | 239,989 | 14 |
| 5) დიდ-ვადიანნი სესხნი, რომელნიც გაცემულნი არიან ბანკის 28 მაისის 1884 წ. წესდების ძალით: | | | | |
| ა) მამულის გირაოზე 54½ წლით. | 409,200 | — | | |
| ბ) მამულის გირაოზე 43½ წ. . | 331,200 | — | | |
| გ) ქალაქის უძრავ ქონებაზე გირაოდ 27½ წლით. . . . . | 373,600 | — | | |
| დ) ქალაქის უძრავს ქონებაზე გირაოდ 18 წლით და 7 თთვით . | 3,900 | — | 1.117,900 | — |
| 6) დიდ-ვადიანნი სესხნი, რომელნიც გაცემულნი არიან ბანკის 17 თებერვლის 1881 წ. წესდების ძალით გირაოდ მიღებულს მამულზედ ურთიერთ შორის თავდებობის ქვეშ: | | | | |
| ა) მამულის გირაოზე 43½ წლით. | 1.402,900 | — | | |
| ბ) ქალაქის უძრავ მამულის გირავნობაზე 27½ წლით . . . | 3.472,100 | — | 4875,000 | — |
| 7) სესხნი, რომელნიც გასაცემად არიან დანიშნულნი: | | | | |
| ა) მამულის გირაოზე 43½ წლით. | — | — | | |
| ბ) ქალაქის უძრავ ქონებაზე 27½ წ. | — | — | | |
| 8) გადასახადი, რომელსაც ჰქონდა შეღავათი (§ 13 წესდებისა): | | | | |
| ა) დიდ-ვადიან სესხზე . . . . | 217,274 | 98 | | |
| ბ) მცირე-ვადიან სესხზე . . . | 3,950 | 03 | 221,225 | 01 |
| 9) ვადა-გასული შემოსატანი ფული . | — | — | 36,993 | 53 |
| 10) მცირე-ვადიანნი სესხნი . . . | — | — | 158,230 | — |
| 11) გირაოს ფურცლები, საკომისიოდ მიღებულნი . . . . . . . | — | — | — | — |
| 12) დასაბრუნებელი ხარჯი . . . . | — | — | 233,491 | 85 |
| 13) კუპონები, ვადის გასვლამდის გადახდილნი . . . . . . . | — | — | — | — |
| 14) ხარჯი: | | | | |
| ა) ბანკის მოწყობისათვის . . . | 3,387 | 10 | | |
| ბ) ბანკის მართვისა და შენახვისათვის. . . . . . . . | 20,374 | 90 | 23,762 | — |
| ბალანსი | | | 7.228,097 | 17 |

**პასსივი**

| | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|
| 1) ძირის ფული: | | | | |
| ა) დიდ-ვადიანის სესხისათვის . . | 184,921 | 19 | | |
| ბ) მცირე-ვადიანის სესხისათვის . . | 149,040 | 22 | 333,961 | 41 |
| 2) სათადარიგო თანხა: | | | | |
| ა) სესხისა, რომელიც გაცემულია 28 მაისის 1874 წ. წესდების ძალით . . . . . . . . | 25,337 | 76 | | |
| ბ) ურთიერთ შორის თავდებობით გაცემულ სესხისა . . . . . | 44.853 | 03 | 70,190 | 79 |
| 3) თანხა საზოგადო საჭიროებისათვის . | — | — | | |
| 4) ზედამხედველის კომიტეტის ხელშია . | — | — | 131 | — |
| 5) საყოველ-შემთხვევო თანხა . . . | — | — | 3,551 | 30 |
| 6) გირაოს ფურცლები დასახურდავებლად გაცემულნი 28 მაისის 1874 წლის წესდების ძალით: | | | | |
| 54½ წლით . . . . . | 409,200 | — | | |
| 43½ » . . . . . | 331,200 | — | | |
| 27½ » . . . . . | 373,600 | — | | |
| 18 წ. და 7 თთვით . . | 3,900 | — | 1.117.900 | — |
| 7) გირაოს ფურნცლები, რომელნიც გამოცემულნი არიან ურთიერთ შორის თავდებობით გირაოდ მიღებულ უძრავ ქონებათა: | | | | |
| 43½ წლით . . . . . | 1.389,200 | — | | |
| 27½ » . . . . . . | 3.458,350 | — | 4.847 550 | |
| 8) გირაოს ფურცლები, ტირაჟში გამოსულნი იმ ჯამისა, რა ჯამიც წესდების 89 § ძალით გადადებული იყო არა ვალდებულის თავნის გადახდისათვის . . . | — | — | 27,450 | — |
| 9) გირაოს ფურცლები, გამოსაცემად დანიშნულნი: | | | | |
| 43½ წლით . . . . . | — | — | | |
| 27½ » . . . . . | — | — | | |
| 10) გირაოს ფურცლები, მობარებულნი. | — | — | 18,000 | — |
| 11) მოსასპობლად დანიშნულნი სესხნი: | | | | |
| ა) გირაოს ფურცლებით . . . . | 101,300 | — | | |
| ბ) ნაღდის ფულით . . . . . | 4,493 | 55 | 105,793 | 55 |
| 12) ტირაჟში გამოსულ გირაოს ფურცლები ჯერ წარმოუდგენელნი გადასახდელად . . . . . . . | — | — | 106,000 | — |
| 13) გირაოს ფურცლები გადასახადი კუპონები . . . . . . . . | — | — | 185,893 | 60 |
| 14) სარგებლის ფონდი. . . . . . | — | — | 179,916 | 80 |
| 15) თავნის გასასტუმრებელი ფონდი: | | | | |
| 54½ წლით . . . . . | 1,097 | 62 | | |
| 43½ » . . . . . | 1,625 | 33 | | |
| 27½ » . . . . . | 7,111 | 13 | | |
| 18 წ. და 7 თთვით . . | 296 | 34 | 10,130 | 42 |
| 16) თავნის გასასტუმრებელი ფონდი ურთიერთ შორის თავდებობით: | | | | |
| 43½ წლით . . . . . | 4,842 | 16 | | |
| 27½ » . . . . . . | 39,413 | 17 | 44,255 | 33 |
| 17) თავნის გასასტუმრებელი ფული არა სავალდებულო გადასახდელად იმ გირაოს ფურცლებისა, რომელნიც საურთიერთო შორის თავდებობის პირობით არიან გამოცემულნი. | — | — | 5,316 | 93 |
| 18) გარდამავალნი ჯამნი: | | | | |
| ა) ნაღდის ფულისა. . . . . | 17,208 | 02 | | |
| ბ) გირაოს ფურცლებით . . . | 57,500 | — | | |
| გ) სახელმწიფო სარგებლიანის ქაღალდებით . . . . . . . | 800 | — | 75,508 | 02 |
| 19) კორრესპონდენტები . . . . . | — | — | | |
| 20) მსესხებელნი . . . . . . . | — | — | 414 | 88 |
| 21) თანხა დაფასებათა და სხ. ხარჯისათვის. | 51,512 | 12 | | |
| 22) მოკლე-ვადიანის სესხის სარგებელნი. | 6,735 | — | | |
| 23) გარდასახადნი . . . . . . . | 12,338 | 58 | | |
| 24) სხვა-და-სხვა სარგებელნი. . . . | 25,351 | 84 | 95,937 | 54 |
| 25) 5% სახელმწიფო გარდასახადი კუპონებზე. . . . . . . . | — | — | 195 | 60 |
| ბალანსი | | | 7 228,097 | 17 |

თავ-მჯდომარე ბანკის მმართველობისა თ. ი. გ. ჭავჭავაძე

მმართველობის წევრნი: { თ. ა. ზ. ხოლაყაშვილი; თ. ი. გ. მაჩაბელი

ბუხჰალტერი თ. დ. ა. ფაგლენიშვილი

Доз. ценз. Тифлисъ, 29-го Іюля 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Гол. просп. д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე